## Courses for Young Learners (Ages 4-12)

კურსი სპეციალურად შექმნილია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სურთ საფუძვლიანად შეისწავლონ ინგლისური ენა.

კურსი მოიცავს კვირაში სამ გაკვეთილს, რომლის ხანგრძლივობაც არის 90 წუთი. მოსწავლეებს კვირაში ორი გაკვეთილი უტარდებათ ქართველ, ხოლო ერთი - უცხოელ პედაგოგთან. კურსი იძლევა მაქსიმალური შედეგის მიღწევის საშუალებას განახლებული წიგნებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ყველა სასწავლო მასალა და რესურსი შერჩეულია მოსწავლეების ინდივიდუალური ინტერესებისა და ასაკის გათვალისწინებით, განათლების თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად, თანამედროვე აუდიო, ვიდეო, ვიზუალური, ბეჭდვითი და ელექტრონული რესურსების გამოყენებით.

ზოგადი ინგლისურის კურსი ფარავს ოთხივე უნარს: კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი. კურსი ასევე მოიცავს ისეთ დამატებით აქტივობებს როგორებიცაა თეატრალური წარმოდგენები, ფილმი და გამოსაშვები ცერემონია სასწავლო წლის ბოლოს.

Courses for Young Learners ითვალისწინებს სკოლამდელი ასაკის მოსწავლეების სპეციალურ კურს - English for Pre-Schoolers. კურსი მოიცავს კვირაში ორ გაკვეთილს, რომლის ხანგრძლივობაც არის 60 წუთი.

**კურსის ხანგრძლივობა:** 1 აკადემიური წელი

**მინიმალური ასაკი:** 4 წელი

**დონე:** Starter – Upper Intermediate